წერილის ნომერი: **42-422406687**
თარიღი: **06/03/2024**

ადრესატი: საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია
მისამართი: თბილისი პოლიტკოვსკაიას ქ.5

შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების
კომპანიას“ დირექტორის მოადგილეს ტექნიკურ
საკითხებში, ბატონ ირაკლი ნაფეტვარიძეს

ბატონო ირაკლი,

თქვენი, 2024 წლის 19 თებერვლის N 3254/1 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ ელექტრონული აუქციონით უნდა განხორციელდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, გრიგოლ კოკაიას ხეივანში მდებარე 931.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი 04.01.03.949) იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემა, მასზე მსუბუქი ავტომანქანების პარკირების მოწყობის მიზნით.
გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ წინასწარ ვერ იქნება განსაზღვრული აუქციონში გამარჯვებული მოიჯარის ვინაობა.
ამასთან, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დასმულ საკითხთან დაკავშირებით აუქციონში გამარჯვებული მოიჯარისათვის ნოტარიალურად დამოწმებული თანხმობის წარმოდგენის დავალდებულებას.
დაინტერესებული პირების ინფორმირების მიზნით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“, 2024 წლის 19 თებერვლის N 3254/1 წერილი განთავსდეს www.eauction.ge-ზე ასატვირთი ლოტის შესაბამის ველში (მიმაგრებული ფაილები).
გაცნობებთ, რომ შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“, 2024 წლის 19 თებერვლის N 3254/1 წერილით გაცემული ტექნიკური პირობა გათვალისწინებული იქნა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტსა და აუქციონში გამარჯვებულ მოიჯარეს შორის გასაფორმებელ სარგებლობის (იჯარის) ხელშეკრულებაში და მოიჯარეს დაეკისრება ზემოხსენებული წერილში მითითებული მოთხოვნების შესრულების ვალდებულება, ხოლო აღნიშნულის დარღვევა მუნიციპალიტეტის მიერ განხილული იქნება როგორც ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველი.
გაცნობებთ რა აღნიშნულს ცნობისათვის და სახელმძღვანელოდ.

პატივისცემით,

ბექა ვაჭარაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის
მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი